საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/47

07 სექტემბერი, 2012 წ. **ქ. ბათუმი**

2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის” შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის **ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები** განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) პირველი სასწავლო წლის სტუდენტთათვის - 2012 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) პროფესიული/ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის - 2012 წლის 29 სექტემბერის ჩათვლით;

გ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის - 2012 წლის 24 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით ;

2. სტუდენტებს მიეცეთ უფლება **შემოდგომის სემესტრში** სწავლის სემესტრული საფასური გადაიხადონ ორ ეტაპად, შემდეგი წესით:

ა) სწავლის სემესტრული საფასურის 50 (ორმოცდაათი) პროცენტი - ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;

ბ) სწავლის სემესტრული საფასურის დარჩენილი 50 (ორმოცდაათი) პროცენტი - ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადის გავსლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 05 ნოემბრისა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**